ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დადგენილება სახელფასო კატეგორიების შესახებ, 24.01.2017

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე განისაზღვროს ანაზღაურების გაცემის კრიტერიუმები სახელფასო კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად:

გ) კატეგორიის ხელფასს იღებს ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთან აქვთ გაფორმებული, (გარდა უნივერსიტეტის რეგულაციებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა).

ამ კატეგორიის ხელფასის მისაღებად საჭიროა:

1. მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის 100 ქულის შესრულება დანართი 1 და 2-ის შესაბამისად;
2. პროფესორისთვის კვირაში არანაკლებ 4, ასოცირებული პროფესორისთვის კვირაში არანაკლებ 6, ასისტენტ პროფესორისთვის კვირაში არანაკლებ 8 საათის პედაგოგიური დატვირთვის შესრულება

ბ) კატეგორიის ხელფასს იღებს ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც არ აქვთ შრომითი ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული (გარდა უნივერსიტეტის რეგულაციებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა).

ამ კატეგორიაზე გადასვლის აუცილებელი პირობებია:

1. მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის 110 ქულის შესრულება დანართი 1 და 2-ის შესაბამისად;
2. პროფესორისთვის კვირაში 4+2+2, ასოცირებული პროფესორისთვის კვირაში 6+3+3, ასისტენტ პროფესორისთვის კვირაში 8+4+4 პედაგოგიური დატვირთვის შესრულება, სადაც პირველი კომპონენტი სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვაა, მეორე კომპონენტის ჩანაცვლება შეიძლება ტომსონ-როიტერის ან Scopus კლასიფიკაციით განსაზღვრული სტატიებით (ერთი სტატია - ერთი საკონტაქტო საათი), სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული წინა საანგარიშო პერიოდში. ხოლო მესამე კომპონენტის ჩანაცვლება შეიძლება სერვისით დანართი 3-ის შესაბამისად.

ა) კატეგორიის ხელფასს იღებს ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც არ აქვთ შრომითი ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული (გარდა უნივერსიტეტის რეგულაციებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა).

ამ კატეგორიაზე გადასვლის აუცილებელი პირობებია:

1. მიმდინარე კალენდარულ წელს საფაკულტეტო კონფერენციაზე ზეპირი მოხსენების წარდგენა ან საერთაშორისო კოფერენციაზე მოხსენება.
2. მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის 120 ქულის შესრულება დანართი 1 და 2-ის შესაბამისად;
3. პროფესორისთვის კვირაში 4+2+2, ასოცირებული პროფესორისთვის კვირაში 6+3+3, ასისტენტ პროფესორისთვის კვირაში 8+4+4 პედაგოგიური დატვირთვის შესრულება, სადაც პირველი კომპონენტი სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვაა. მეორე კომპონენტის ჩანაცვლება შეიძლება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატიებით (ერთი სტატია - ერთი საკონტაქტო საათი გაყოფილი აკადემიურ პერსონალ-თანაავტორთა რაოდენობაზე); სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული წინა საანგარიშო პერიოდში. ხოლო მესამე კომპონენტის ჩანაცვლება შეიძლება სერვისით დანართი 3-ის შესაბამისად.
4. დამატებითი სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის შესრულება, რომელიც იანგარიშება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:
   ა) დეპარტამენტები იღებენ ვალდებულებას, რომ მოწვეულების საათების რაოდენობა არ გადააჭარბებს წინა წლის ანალოგიური სემესტრის მაჩვენებელს;

ბ) ყოველი დეპარტამენტისთვის იანგარიშება მათ მიერ ჩასატარებელი სრული საათების რაოდენობას გამოკლებული მოწვეულებისა და ყველა კატეგორიის აკადემიური პერსონალის მიერ ჩასატარებელი საათების რაოდენობა. მიღებული რიცხვი ნაწილდება დეპარტამენტში შეთანხმების საფუძველზე, შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში დარჩენილი საათების რაოდენობა იყოფა თანაბრად პასუხისმგებელი დეპარტამენტის (ან კათედრის) პროფესორებს შორის და ეს არის დამატებითი სავალდებულო დატვირთვა.

იმპაქტ ფაქტორიანი სტატიები, რომლებიც არ ანაცვლებს საათებს, გამოყენებულ იქნება დამატებითი ანაზღაურებისთვის იმ გაანგარიშებით, რომ ერთი სტატია უდრის ერთ საკონტაქტო საათს კვირაში, საკონტაქტო საათის ღირებულება იანგარიშება გ) კატეგორიის ასოცირებული პროფესორის ხელფასის ერთი საათის წილის მიხედვით.

*საანგარიშო პერიოდი განისაზღვრება მიმდინარე წლის 1 მარტიდან მომდევნო წლის 1 მარტამდე.

დანართი #1. მინიმალური შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა აკადემიური თანამდებობების მიხედვით

ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა;**

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა;**

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა;**

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 60% ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) **– 50 ქულა;**

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა;**

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა;**

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა.**

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა.**

ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა;**

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა;**

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა;**

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში

იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 60% ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა;**

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა;**

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა;**

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა.**

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა.**

გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა;**

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა;**

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა;**

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 60% ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა;**

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა;**

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა;**

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა.**

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა.**

სავალდებულო მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის თითოეული შემადგენელი ნაწილის (დატვირთვის შემადგენელი კომპონენტები, თავიანთი ქულობრივი წილით) გადაჭარბებით შესრულება ყველა კატეგორიის აკადემიური პერსონალისათვის შესაბამისად აისახება ქულობრივ ზრდაზე, გარდა ხსენებული დანართით გათვალისწინებული მე-8 კომპონენტისა, ხოლო ხსენებული დანართით გათვალისწინებული მე-7 კომპონენტი მხოლოდ ორმაგდება.

დანართი #2. სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

1. სტატია ჟურნალში

1.1 იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

1.2 სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

1.3 რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში* , რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში ;

1.4 ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში* , რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.

2. წიგნი/მონოგრაფია

2.1 მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

2.2 ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია) *.

3. სტატია საკონფერენციო მასალებში / თავი წიგნში, ან კრებულში

3.1 სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;

3.2 სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.

4. გამოქვეყნებული სამეცნიერო სემინარების/შეხვედრების თეზისები

4.1 საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

4.2 საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ.

* საქართველოში გამოცემული სამენციერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა.

დანართი #3. სერვისების კომპონენტის საათობრივი იდენტიფიკაცია:

1. 5 ECTS საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 1 (ორიგინალური) და 0.5 (რეფერატული), იყოფა ხელმძღვანელთა რაოდენობაზე;
   1.1. 5 ECTS სტუდენტური პროექტის ხელმძღვანელობა - 1
2. 10 ECTS საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 2 (ორიგინალური) და 1 (რეფერატული), იყოფა ხელმძღვანელთა რაოდენობაზე;
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 3 (ორიგინალური) და 1.5 (რეფერატული), იყოფა ხელმძღვანელთა რაოდენობაზე;
4. აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა - 2, იყოფა ხელმძღვანელთა რაოდენობაზე;
5. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერადად წევრობა - 0,25;
6. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერადად წევრობა- 0,25;
7. სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) დაცვის კომისიის ერთჯერადად წევრობა- 0.25
8. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 0.5;
9. სადოქტორო ნაშრომის შეფასება - 1;
10. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი - 0.25;
11. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი - 0.25;
12. სააპელაციო კომისიის წევრი - 0.5;
13. სახელმძღვანელოს/ლექციათა კურსის/ამოცანათა კრებულის გამოცემა, მათ შორის ელექტრონული ფორმით, საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად - 6, იყოფა თანაავტორთა რაოდენობაზე;
    13.1. სახელმძღვანელოს რეცენზირება -- 1;
    13.2. სახემძღვანელოს რედაქტირება -- 2;
14. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/კოორდინირება - 1; პროგრამის თანახელმძღვანელობა იყოფა თანახელმძღვანელთა რაოდენობაზე
15. სტუდენტის მომზადება:
    15.1. საფაკულტეტო/სამეცნიერო კონფერენციისთვის მომზადება - 0.5;
    15.2. სტუდენტის ხელმძღვანელობა, რომელმაც მოიპოვა მაღალი რანგის პრემია (მაგალითად, ივ.ჯავახიშვილის სახელობის პრემია და სხვა) – 1,0 და
    15.3. სტუდენტის ხელმძღვანელობა, რომელმაც მოიპოვა ინდივიდუალური გრანტი (მაგალითად, შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდი და სხვა) – 0,5.
16. მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში პროექტის ხელმძღვანელობა/კოორდინირება - 1;
17. მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში პროექტის ხელმძღვანელობა/კოორდინირება - არაუმეტეს 0.5 თანახელმძღვანელზე და არაუმეტეს 1.5 ჯამურად ყველა ხელმძღვანელზე;
18. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა, სხდომების განრიგი წინასწარ განსაზღვრულია მთელი სემესტრისთვის, სხდომა დაანონსებულია ფაკულტეტის ვებ გვერდზე - 1.5
19. დეპარტამენტის ხელმძღვანელი - 2;
20. კათედრის გამგე - 1;
21. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი (არაანაზღაურებადი) - 3;
22. ფაკულტეტის საბჭოს
    22.1. წევრი – 1;
    22.2. მდივანი - 2;
23. სადისერტაციო საბჭოს

23.1. თავმჯდომარე - 1;
23.2. მდივანი - 0.5;

24. თსუ
24.1. აკადემიური საბჭოს წევრი - 1;
24.2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი - 1;
24.3. აკადემიური ეთიკის დამდგენი კომისიის წევრი - 0.5;
24.4. ადმინისტრაციის ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრი - 1;
24.5. გაცვლითი პროგრამის შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრი - 0.5;

25. ფაკულტეტის კომისიის წევრი
25.1. საბიუჯეტო - 0.25;
25.2. სამივლინებო - 0.25;
25.3. სტრუქტურული ერთეულების - 0.25;
25.4. დეპარტამენტის ვებ გვერდის ადმინისტრატორი - 2 ;
25.5. ფაკულტეტის ადმინისტაციის ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრი - 0.5 ;

26. საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდაჭერა:
26.1. საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ლექციის წაკითხვა - 0.25;
26.2. ელექტრონული ოლიმპიადა მეცნიერების თასზე - 1;
26.3. ელექტრონული ოლიმპიადა მათემატიკაში - 1;

27. ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული არაანაზღაურებადი საქმიანობა, მათ შორის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში პოზიცია:
27.1. დირექტორი/დირექტორის მოადგილე/სპეციალისტი - 1;
27.2. უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების კურსების მომზადება/ორგანიზება - 1;
27.3. ელექტრონული სასწავლო კურსის შექმნა (ვებ-პორტალზე განთავსებული აუდიო-ვიზუალური სასწავლო მასალითა და შეფასების ელექტრონული მეთო-დებით) – 6;
27.4. აუდიო-ვიზუალური სასწავლო მასალის შექმნა -- ქულა განისაზღვროს წინა პუნქტში წილის მიხედვით.

28. სამეცნიერო ან საფაკულტეტო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე/წევრი - 0.5;

29. თსუ სამეცნიერო/სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის/კრებულის, სახელმძღვანელოს:
29.1. რედაქტორობა - 1;
29.2. სარედაქციო კოლეგიის წევრობა - 0.5.
29.3. სტატია თსუ სამეცნიერო/სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 1 (იყოფა ავტორთა რაოდენობაზე);
29.4. გაზეთ "თბილისის უნივერსიტეტის" რედკოლეგიის წევრობა-0,5.

30. მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის ხელმძღვანელი/მდივანი - 0.5.

31. საგამომცემლო საქმიანობა:
31.1. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო წევრი - 0.25;
31.2. დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის წევრი - 0.25;

32. წინა საანგარიშო პერიოდში მიღებული პატენტი - 1

33. წინა საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული Scopus კლასიფიკაციით განსაზღვრული სტატია - 1

შენიშვნები:

1. სერვისების ქულები ვრცელდება მთელ საანგარიშო პერიოდზე.

2. შესრულებული/შესასრულებელი სამუშაოს პირობითი საზომი ერთეულია საკონტაქტო საათი:

2.1. 1 საკონტაქტო საათი ტოლია

2.2.1. 30 საათი წლიური საკონტაქტო სააუდიტორიო დატვირთვის ან

2.2.2. ყოველკვირეული 1 საათის საკონტაქტო სააუდიტორიო დატვირთვის ორი სემესტრის განმავლობაში ან

2.2.3. ყოველკვირეული 2 საათის საკონტაქტო სააუდიტორიო დატვირთვის ერთი სემესტრის განმავლობაში.

2.2. 0.5 საკონტაქტო საათი ტოლია

2.3.1. 15 საათი წლიური საკონტაქტო სააუდიტორიო დატვირთვის ან

2.3.2. ყოველკვირეული 1 საათის საკონტაქტო სააუდიტორიო დატვირთვის ერთი სემესტრის განმავლობაში.

2.3. 0.25 საკონტაქტო საათი ტოლია 7 ან 8 საათი წლიური საკონტაქტო სააუდიტორიო დატვირთვის.